ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

27 აპრილი
ხუთშაბათი
2023 წელი
№18 (9280)
ფასი 40 თეთრი

ეს ჩვენი ლიკვიდაციის საქმეა!

როგორც ვნერდით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი სახელმწიფო პროგრამა იწყება.

ახალი პროგრამა 5 წლიანია და და მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი მილიარდი ლარი მოხმარდება.

პროგრამის პირველ ეტაპზე შერჩეულია 11 მდებარეობა. **ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტიის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.**

„პირველ ეტაპზე 11 მდებარეობა იქნა შერჩეული. წარმოდგენილია როგორც ქალაქები, ასევე კურორტები იმდაგვარი სახით, რომ შესაბამისი არეალური განვითარება მოხდეს, რაც მათ ახალი მიზიდულობის ცენტრებად წარმოაჩენს და შემდგომში კიდევ უფრო მნიშვნელოვან დატვირთვას მისცემს. პროცესი გაგრძელდება, თუმცა ეს არის საწყისი ეტაპი. შესაბამისი არეალები, რომელზეც იყო მსჯელობა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს სწორედ იმ ძალიან საინტერესო მდებარეობებს, რომელიც ისტორიულად არსებობდა თითოეულ ამ ჩამოთვლილ ადგილას. მაგალითად, ბორჯომის შემთხვევაში ვსაუბრობთ

ძველი ისტორიული ბორჯომის მდებარეობასა და ბორჯომის ცენტრალურ პარკზე. ძველი ისტორიული ქუთაისი, რომელიც არეალში მოიცავს როგორც ძველ უბანს, ასევე გათვალისწინებულია ქუთაისის ბოტანიკური ბაღის განახლება, რაც ნამდვილად საინტერესო ატრაქციაა როგორც შინაარსობრივი, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. თელავში მოიაზრება ბატონის ციხის მიმდებარე ტერიტორია, თვითონ ბატონის ციხის კონცეფციის განვითარება და შემდგომში განხორციელება, ასევე შედის თელავის თეატრი, რომლის განახლება-რეკონსტრუქციაც მოხდება და ასე შემდეგ, - აღნიშნა **ირაკლი ქარსელაძემ.**

პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის, 2023 წლის ბიუჯეტში, 200 მილიონი ლარი უკვე გათვალისწინებულია. სამუშაოები რამდენიმე ფაზად განხორციელდება, პროგრამა ითვალისწინებს ქალაქებისა და კურორტების ისეთი არეალების განვითარებას და იერსახის განახლებას, რომელიც მათ პოტენციალს მნიშვნელოვან დატვირთვას შესძენს და ახალ მიზიდულობის ცენტრებს გააჩენს. პროგრამას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

ონკოლოგიური პაციენტი ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობა სრულად დაფინანსდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** თქმით, ონკოლოგიური პაციენტი ბავშვების მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო საზღვარგარეთაც დააფინანსებს. მან მთავრობის სხდომის დაწყებამდე თქვა, რომ 300-მდე პაციენტის მკურნალობისთვის 30 მლნ ლარამდე გამოიყოფა.

– ხშირ შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ამ ბავშვების მკურნალობა საზღვარგარეთ. ისეთი სერვისები, როგორიცაა თუნდაც პროტონული თერაპია, დასხივება და ა.შ. რაც მრავალი ათასი ამერიკული დოლარი ჯდება. ზოგ შემთხვევაში შეიძლება 100 000 ევრო დაჯდეს ერთი კურსი... ჩვენ სრულად დავფარავთ ყველა ხარჯს, იქნება ეს მკურნალობის, ცხოვრების თუ ა.შ. მგზავრობის ხარჯებს, – თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან ისაუბრა აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვებზე და მათ მშობლებს მიმართა.

– მინდა კარგად ავუხსნა ჩვენს საზოგადოებას და ძვირფას მშობლებს, მე მესმის მათი ემოციურობის. ვინც არ არის ამ საქმეში ჩახედული, ისე წარმოაჩინეს – მიეცით წამალი ბავშვებს, თითქოს, წამალი რომ მივცეთ, ყველაფერი შეიცვლება. იმასაც კადრულობენ, თითქოს, მათ სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, რაც ძალიან დიდი ტყუილია... ძალიან ბევრი ადამიანი ვიცით მთელ მსოფლიოში, რომლებიც არიან წარმატებული და მათი დისკრიმინაცია არ შეიძლება, ჩვენ ამაზე უნდა ვიყოთ მოწოდებული, – თქვა ღარიბაშვილმა.

იგება ასფალტი, იწმინდება დანაგვიანებული ტერიტორიები

ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ქალაქის ტერიტორიაზე ორგანიზებულად მიმდინარეობს ტეროტორიების დასუფთავების სამუშაოები.

25 აპრილს, დილიდან გვიანობამდე, მთელი რიგი ორგანიზაციების თანამშრომლები ასუფთავებდნენ დანაგვიანებულ ტერიტორიებს, უვლიდნენ ნარგავებს, წესრიგში მოყავდათ შენობების მიმდებარე ფართოებები.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ცენტრალური საავტომობილო ტრასის მოასფალტების სამუშაოები, რომელსაც ფირმა „არალი“ აწარმოებს. მეგზევეებმა რკინიგზის №6 საჯარო სკოლიდან ლიკანში მესხეთის ქუჩის დასაწყისამდე ხარისხიანი გზა უნდა დააგონ.

ძველი ნარჩენებისაგან გაიწმინდა დიდი მონაკვეთი და მძლავრი ტექნიკით დაიწყო აღსადგენი ტერიტორიის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მაკა მანჯავიძემ ამავე კომისიის სხდომა გამართა.

ამავე დღეს, გაიმართა ბიუროს სხდომაც, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

დეპუტატებმა განიხილეს და დაამტკიცეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტების (2023-2030) დამტკიცების შესახებ;

იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2023 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №97 დადგენილებაში;

ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №54 დადგენილებაში;

ცვლილებები შევიდა „მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №16 დადგენილებაში;

ცვლილებები შევიდა „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №17 დადგენილებაში;

მოისმინეს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ანგარიში 2022-2023 წლის ზამთრის სეზონზე გაწეული მუშაობის შესახებ;

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი“-ს დირექტორის ინფორმაცია 2023 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით;

ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“-ის ხელმძღვანელს ინფორმაცია 2023 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №გ-17.17230832, №გ-17.17230834, №გ-17.17230835 და №გ-17.17230836 განკარგულებებში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია 2023 წლის 20 იანვრის პეტიციასთან დაკავშირებით.

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია იწყება

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის №85, №91 და №93-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, შეიცვლება სახურავი, აივანი და კარ-ფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები.

ბორჯომის მერიაში აცხადებენ, რომ საკურორტო ქალაქის იერსახის გალამაზება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება.

ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 2020-2022 წლებში ჯამში, 11 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა.

რატომ ვართ ღარიბები?!

უმუშევრობა და სიღარიბე დიდი პრობლემაა!

დრო ძალიან სწრაფად გარბის, ფასებიც გარბის, ჩვენი ხელფასები კი დროს ვერ ეწევა, სიბერე კი თავქუდმოგლეჯილი მირბის, მოყვასი გარბის საზღვარგარეთ, სამაგიეროდ უსწრაფესად ვითარდება გლობალიზაციის პროცესი. გადამთიელებით გაივსო ჩვენი კურთხეული მამული...

ბორჯომშიც საკმაოდ ჩამოვიდნენ ოჯახებით რუსები, ბელარუსები, უკრაინელები, მუსულმანური რწმენის ადამიანები. აგერ ქალაქის ცენტრში მათთვის არაბული რესტორანი „მაჰაჯარა“ გაიხსნა. რკინიგზის ვაგზლის მომდებარედ სწრაფი კვების ობიექტი ჩადგა მწყობრში. შესანშნავი ხაჭაპური, კრემიანი ნამცხვარი, ფუნთუშები და ათასგვარი ნუგბარი ცხვება და იყიდება. ამას წინათ მეც შევედი ახალ ობიექტში, შვილიშვილისათვის ნამცხვრის შესაძენად, უცნობი ჰიროვნება შემოვიდა და მოკრძალებით იკითხა: - შვილი გავაბედნიერე, სტუმრებს ველოდები, მთელი ბორჯომი შემოვიარე და გოჭი ვერსად შევწვი, ხომ ვერ დამეხმარებითო?

მზარეულმა დამტკრეული ქართულით უპასუხა: - ჩვენს ღუმელში გოჭის შეწვა კი შეიძლება, მაგრამ არ ვწვავთ, - მერე და რატომ არ წვავთო, იკითხა გაწბილებულმა კლიენტმა.

- ჩემი ალაჰი არ მაძლევს უფლებასო.

პასუხით კლიენტიც და მეც გაოგნებული დავრჩით, მათ კითხვა-პასუხში ჩავერთე. კი მაგრამ, ალაჰი რა შუაშია, საქართველოში როდის შემდეგ აიკრძალა გოჭის შენვა? - ვიკითხე.

- ბატონო, მე აზერბაიჯანელი ვარ, იორმუღანლოდან, ჩემი ღმერთი არ მაძლევს გოჭის შენვის და ღორის ხორცის ჭამის უფლებას - დამაჯერებელი კილოთი გამცა პასუხი.

ვაი, ჩვენს ცოდვას, საქართველოში და კერძოდ, თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე არსებული თითქმის ყველა ობიექტი თურქების საკუთრებაშია, ასევეა ბათუმშიც. უცხოტომელები არიან არიან დასაქმებულები და შესანიშნავად გრძნობენ თავს, ჩვენი ხალხი კი საზღვარგარეთ გარბის, დაიცალა ქვეყანა. ბორჯომის მუნიციპალიტეტს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ქალაქ ბორჯომში, ახალდაბაში, წაღვერში, დვიროში, ცემში, ბაკურიანში, ყოველი მესამე-მეოთხე ბინა გამოკეტილია, მეპატრონეები საზღვარგარეთ არიან საშოვარზე წასულები და არავინ იცის, დაბრუნდებიან თუ არა მშობლიურ კუთხეში?

საავჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მეპატრონეები ერთთავად კვალიფიციური კადრების სიმცირეზე საუბრობენ. წინა წერილშიც ზოგადად ვწერდი, დღის წესრიგში დადგა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია, იქვე აღვნიშნავდი - ხარისხიან პროდუქციას დაბალი კვალფიკაციის ადამიანი ვერ გამოუშვებს. აბა, მიმოიხედეთ თქვენს გარშემო და თუ ნახავთ უმუშევრად დარჩენილ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს. ვერ ნახავთ! და იცით რატომ, ისინი ფაქტიურად, არც არიან. ამიტომაცაა, რომ დღის წესრიგში დადგა ყველგან და ყველაფერში მაღალი დონის კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა და ადგილზე დამაგრება. ეს ეხება როგორც პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, მშენებლებს, პედაგოგებს, კულტურის დარგის მუშაკებს, სამედიცინო დარგის სპეციალისტებს, ისე მზარეულებს, მიმტანებს, სამშენებლო დარგის რიგით წევრებს (მღებავებს, მშენებელ-მომპირკეთებლებს, დურგლებს, პარკეტის დამგებს, მლესავს და ა.შ.), რომელთა კატასტროფული დეფიციტია არა მარტო ბორჯომში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია.

დღეს ოჯახის თითოეულ წევრს ძვირადღირებული მობილური ტელეფონი უდევს ჯიბეში, შემთხვევით რომ გაუფუჭდეს, ხაშურში ან თბილისში უნდა წავიდეს მის გასაკეთებლად. (ღმერთმა დალოცოს სურამელი ახალგაზრდებმა, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურება ბორჯომელებს).

რაც დღეს ბორჯომის ქუჩებში მსუბუქ ავტომანქანა დარბის, ამდენი არასდროს ყოფილა. მათი მწყობრიდან გამოსვლის ფაქტებიც ხშირია, ბორჯომში სულ რამდენიმე ხელოსანია, რომელსაც ავტომობილის დაზიანებული მანქანის აღდგენა შეუძლია. ძირითადად ბორჯომელები ახალციხესა და ხაშურში დადიან საკუთარი მანქანების აღსადგენად.

ახლა ბორჯომში საოჯახო სასტუმროების მშენებლობის ბუმია, ევროორემონტისათვის ხელოსნები ბორჯომში თითბზე ჩამოსათვლელია, ასეა სხვა სფეროებშიც.

ქვეყანაში მოარული ავადმყოფობასავითაა გავრცელებული მოწოდება, - ყველა საზღვარგარეთ წავლას აანონსებს. კი მაგრამ, დაბალი კატეგორიის ან სულაც არანაირი პროფესიის ადამიანი სად აპირებს დასაქმებას, სადაც მაღალ ანაზღაურებაა? მერედა, მისცემენ ანაზღაურებას?! არც აძლევენ, ან რა გასამრჯელოს მისცემენ მოხუცის მომვლელს, მენაგვეს, მეეზოვეს: გაიკითხეთ აქედან წასულები რომელი მუშაობს ინჟინრად, პედაგოგად, ექიმად და ა.შ. მაინც მიდიან...

წინა ნომერშიც ვწერდი ბორჯომში, 2023 წლის იანვარში პროფტექნიკური სასწავლებელი უნდა გახსნილიყო, მაგრამ შენობა სანანხევროდაც არაა აშენებული, არავინ იცის, ვინ იქნება მასწავლებელი ან ოსტატი.

რედაქციამ დიდი ჯაფის შემდეგ მოიძია მასალები ბორჯომში პროფტექნიკური სასწავლებლის აშენების თაობაზე და ამავე ნომერში გთავაზობთ. როდის გვეყოლება კვალიფიციური კადრები ბორჯომში? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ არავის აქვს.

სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით 2022 წელს საქართველო დატოვა და საცხოვრებლად გადავიდა 99974 ადამიანი. ემიგრანტების 88,6 პროცენტი შრომისუნარიანი ასაკში (15-დან 64-წლამდე) მყოფი მოსახლეობაა. მათ შორის 39 პროცენტი ქალია, თავშესაფრის მაძიებელია 22 პროცენტი - 18 წელს ქვემოთაა, 35 პროცენტი - 18-დან 24-წლამდეა, 48 პროცენტი - 35-64 წლამდეა (სხვათა შორის თავშესაფრის მოთხოვნაზე ყველაზე მეტი უარი საქართველოს მოქალაქეებმა ბავშვებმა ძიიღეს. განცხადებების 96 პროცენტი არ დაკმაყოფილდა).

ათეულობით წლები გადის და ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემები ვერა და ვერ გადაწყდა, ვერც საზრვარგარეთ წამსვლელთა რიგები მცირდება, პირიქთ - იზრდება, სამაგიეროდ საქართველოში ჩამოდიან და საქმდებიან უცხოტომელები, რომლებიც აქედან წასვლაზეც არ ფიქრობენ. მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ ჩვენი რაიონის დემოგრაფიულ ვითარებას, რომელიც არცთუ სახარბიელოა.

ვალერიან ლომიძე.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №17 2023 წელი.

როდის მიიღებს ბორჯომის პროფსასწავლებელი სტუდენტებს?!

ბორჯომში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი პროფსასწავლებლის გახსნის მოლოდინი საზოგადოებაში გამორჩეულ ინტერესს წარმოადგენს. როდის დასრულდება მშენებლობა და როდის დაიწყება სასწავლო პროცესი? რობორ შეირჩევა და გადამზადდება კადრები? გაზეთი „ბორჯომი“-ს მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე პასუხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა თამარ კვინიკაძემ გასცა.

● ბორჯომში შენდება პროფესიული სასწავლებლის შენობა, რომელისადმი მოსახლეობის ინტერესი ძალიან დიდია. ახლა, რა ეტაპზეა მშენებლობის პროცესი და როდის დაიწყებს საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას?

- ბორჯომის პროფესიული კოლეჯის სამშენებლო სამუშაოები 2024 წელს დასრულდება, რის შემდგომაც, დაიწყება ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება, რაც საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების წინაპირობაა, შესაბამისად კოლეჯი სტუდენტების პირველ ნაკადს საკვალიფიკაციო პროგრამებზე 2025 წელს მიიღებს.

● რა პროფესიების დაუფლებას შეძლებენ მოქალაქეები და თუ იქნება ასაკობრივი შეზღუდვა პროფსასწავლებელში სწავლის მსურველთათვის?

- კოლეჯში დაინერგება და განხორციელდება სხვადასხვა მიმართულების როგორც საკვალიფიკაციო (გრძელვადიანი) პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების (ე.წ. მოკლევადიანი) პროგრამები. საწყის ეტაპზე, დაგეგმილია საინჟინრო და სამშენებლო, მომსახურებისა და ტურიზმის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა ასაკობრივი ზედა ზღვარი შეზღუდული არ არის. ჩარიცხვის წინაპირობას საბაზო პროფესიული განათლება წარმოადგენს - სულ მცირე ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასი) დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრამით განსაზღვრული **დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილება, კერძოდ:**

პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს 3 ტიპის - საბაზო პროფესიული, საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული - საგანმანათლებლო პროგრამა.

1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;

2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა. ამასთან, პირს, რომელიც ფლობს საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შეუძლია ჩაირიცხოს ისეთ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ე.წ. ინტეგრირებული პროგრამა). აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი მსურველის სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

● როგორ მოხდება კადრების შერჩევა და გადამზადება ბორჯომის პროფესიული სასწავლებლისათვის?

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. რაც შეეხება დაწესებულების ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალს, შერჩევას ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერას, მათ შორის, პერსონალის გადამზადებას, ახორციელებს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

● დაახლოებით, რამდენი ადამიანი შეძლებს დასაქმებას და წელიწადში რამდენი პროფესიონალი კადრი ეყოლება სამცხე-ჯავახეთს?

- ბორჯომის პროფესიული კოლეჯის შენობა გათვლილია 300 პროფესიულ სტუდენტზე. ბენეფიციარების მხრიდან მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელია, განხილულ იქნას სწავლების განხორციელება 2 ცვლაში. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკვალიფიკაციო პროგრამების გარდა განხორციელდება მომზადება-გადამზადების პროგრამები, რომელიც უმოკლეს დროში, კონკრეტული კომპეტენციებისა და უნარების დაუფლების შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება დასაქმებას, დამოკიდებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მაქსიმალურად შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას, სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, სტუდენტებს შესთავაზებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისს, პროგრამები განხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით, მათ შორის, დუალური მიდგომით, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტი სწავლის შედეგების 50-ზე მეტს ეუფლება საწარმოში, რეალურ სამუშაო გარემოში. აღნიშნული ტიპის პროგრამების განხორციელება სტუდენტების შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდის. კოლეჯი ასევე აქტიურ თანამშრომლობას დაამყარებს რეგიონში მოქმედ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც მაქსიმალურად გაიზრდება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა.

● რას შეცვლის პროფესიული სასწავლებლის არსებობა ბორჯომელებისათვის?

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების მიმართულებით, რომლის მიზანი, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნაა. სამინისტროს მიზანია, მაქსიმალურად ბევრ ადამიანს მისცეს სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, შესაბამისად, ბორჯომის კოლეჯი იქნება უნიკალური შანსი, ბორჯომის მოსახლეობისთვის, საკუთარ მუნიციპალიტეტში შეიძინონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები და კომპეტენციები და გაზარდონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე, რაც მეორე მხრივ რეგიონს უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალით.

● მივმართოთ საზოგადოებას, რომელიც მოუთმენლად ელის ბორჯომში პროფსასწავლებლის გახსნას? მოლოდინი, რომელიც რეალობას შეცვლის.

- ბორჯომის პროფესიული კოლეჯი, სადაც შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი პროგრამები განხორციელდება, უნიკალურ შანსს გაძლევთ თქვენს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში დაეუფლოთ სასურველ პროფესიას, რაც დასაქმებისა და თვითდასაქმების საუკეთესო შესაძლებლობა და მომავალი წარმატების მყარი საფუძველია. კოლეჯი სტუდენტებს ასევე შესთავაზებს მრავალფეროვან სტუდენტურ გარემოს, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისს, სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მხარდამჭერ სერვისებს და სხვა მხარდამჭერ მექანიზმებს. ამასთან, რეგიონის საჭიროებებზე მორგებული მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროფესიული პროგრამები არის ზრდასრული მოსახლეობისთვის საუკეთესო შესაძლებლობა უმოკლეს ვადაში დაეუფლონ მათთვის საინტერესო უნარებს და დასაქმდნენ.

მოამზადა იზა ბაბუარაშვილმა

სამეწარმეო განათლების ფესტივალი 2023

ახალგაზრდა მეწარმეთა წარმატება

სამეწარმეო განათლების ფესტივალს, რომელიც ყოველ წელს იმართება, წელსაც თბილისი მოლის ცენტრალურმა „ატრიუმმა“ უმასპინძლა. 100-ზე მეტ კომპანიას შორის ფესტივალზე სულ 37 კომპანია შეირჩა. ახალგაზრდა მეწარმეებმა ყველაზე კრეატიული და ინოვაციური პროდუქტები შექმნეს. უკვე რამდენიმე წელია, რაც სკოლებში შერჩევით საგნად ისწავლება მეწარმეობის საფუძვლები, რომელიც მოიცავს ბიზნეს-გეგმის შედგენას, ფინანსურ აღრიცხვებს, იმას, თუ როგორ ითანამშრომლონ მოსწავლეებმა სხვადასხვა კომპანიებთან და განავითარონ საკუთარი ბიზნესი, შექმნან საკუთარი მინი კომპანია, რომელსაც ფართო საზოგადოებასაც გააცნობენ. აღნიშნული ფესტივალი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები, რაც ბიზნესის განვითარებისთვისაა აუცილებელი. „სამეწარმეო განათლების ფესტივალის“ ღონისძიებას მართავს „ჯუნიორ ეჩივმენთი საქართველო“ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, თბილისი მოლთან და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ჩვენდა საამაყოდ, ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები უკვე მერვე წელია მონაწილეობას ღებულობენ აღნიშნულ ფესტივალში. ამ წელსაც სკოლიდან ფესტივალში ორი გუნდი მონაწილეობდა. კომპანია „მეგალონი, რომლებსაც სამაგიდო თამაში ჰქონდათ წარმოდგენილი ისტორიული, კუთხით და ასევე კომპანია ,,Healthy time'' (ჯანმრთელი ცხოვრების გზაზე), მათ ფიჭვის მტვერი წარმოადგინეს ბრენდული შეფუთვით. თითო გუნდი ხუთ-ხუთი მოსწავლით იყო წარმოდგენილი. მათ სხვადასხვა ფუნქციები ჰქონდათ გადანაწილებული.

ასე მაგალითად, კომპანია ,,Healthy time''- **სოფიკო მაისურაძე** - მარკეტინგის მენეჯერია, ანა-მარია ხელისუფალი - CEO გენერალური მენეჯერი, **ქეთი გაჩეჩილაძე** - ადმინისტრაციის მენეჯერი, **მაიკო ინანსარიძე** - ფინანსური მენეჯერი, **ნინო ჩადუნელი** - წარმოების მენეჯერი.

„მეგალონის“ - გენერალური მენეჯერი - **ლიკა ხელისუფალი, ნინო თოთლაძე** - ადმინისტრაციული მენეჯერი, **მარიამ შინჯიკაშვილი** - ფინანსისტი, **მარიამ ნოზაძე** - მარკეტინგის მენეჯერი, **ლიზი ადვაძე** - წარმოების მენეჯერი, **სალომე ელიაშვილი** - პიარ მენეჯერი.

მოსწავლეებსა და მათ საოცრად კრეატიულ პედაგოგს ქალბატონ ნ**ინო კევლიშვილს** სკოლაში ვეწვიე და არსებული ფესტივალის, მონაწილე კომპანიებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ვთხოვე ესაუბრათ.

ნინო კევლიშვილი მეწარმეობის საფუძვლების პედაგოგი: - ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში უკვე მერვე წელია რაც არჩევით საგნად ისწავლება მეწარმეობის საფუძვლები. წელს ჩვენი სკოლიდან ორმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ფესტივალში. პირველმა გუნდმა წარმოადგინა სამაგიდო თამაში ისტორიული პერსონაჟებით. იგი გახლავთ ლოტოს მსგავსი, ხოლო მეორე გუნდმა ფიჭვის მტვერი, რომელიც აქტუალური პროდუქტია ჩვენ რაიონში. პროექტის მიზანი არის სწავლა პრაქტიკული ჩვევებით, რაც თითოეული გუნდის წევრს ნამდვილად კარგად გამოსდის. არსებული პროდუქციის რეალიზაცია, რომელიც დღეს ორივე გუნდს აქვს წარმოდგენილი, სამი თვის მანძილზე არის ოფიციალურად შესაძლებელი, ხოლო თუკი მოთხოვნა იქნება, სამომავლოდ შესაძლებელია რეალიზება კიდევ გაგრძელდეს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები და მე Tv პირველზე გახლდით მიწვეულები გადაცემაში. აღნიშნული ფესტივალი ნამდვილად დიდი გამოცდილებაა რაიონიდან ჩასული მოსწავლეებისათვის, მითუმეტეს, როდესაც ჩვენთან ნაკლები პირობებია სხვადასხვა ინოვაციური პროდუქციის დამზადების კუთხით. ფესტივალზე მონაწილე რამდენიმე სკოლის გუნდს საკუთარი პირადი ლაბორატორია აქვთ, სადაც უნიკალურ ნამუშევრებს ქმნიან და როდესაც მათ გვერდით, 37 საუკეთესო გუნდს შორის შეგარჩევენ, ეს რა თქმა უნდა, დიდი გამარჯვებაა.

სოფიკო მაისურაძე - კომპანია `Healhty time'' მარკეტინგის მენეჯერი: - როდესაც გვითხრეს, რომ უნდა შეგვექმნა მინი საწარმო, მაშინვე ვიცოდით, რომ ბორჯომთან ასოცირებული პროდუქტი უნდა შეგვეთავაზებინა და ბორჯომის მინერალური წყლის შემდეგ ფიჭვის მტვერი ხომ ბორჯომის სავიზიტო ბარათია. დამტვერვის სეზონზეც უამრავი სტუმარი ჩამოდის და ვიფიქრეთ, რომ სხვა ქალაქში მცხოვრებ ადამიანებსაც ჰქონოდათ პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა. ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა შეფუთვას, ვიზუალურ მხარეს და პროდუქტის ინფორმატიულობას მომხმარებლებისთვის. რა თქმა უნდა, აქ ბევრგან იყიდება ფიჭვის მტვერი, თუმცა დეტალური ინფორმაცია თუ რისთვის გამოიყენება, იშვიათად თუ იციან. ამიტომაც ჩვენ პროდუქტს თან ახლავს ინფორმაციული ხასიათის ბუკლეტები ქართულად და ინგლისურად, სადაც პროდუქციის სამკურნალო თვისებებისა და გამოყენების შესახებ სრული ინფორმაციაა მოთავსებული. თითო ქილის ფასი გახლავთ 35 ლარი, რაც ვფიქრობთ, მისაღები ფასია.

ლიკა ხელისუფალი კომპანია ,,მეგალონი“ გენერალური მენეჯერი: - თავდაპირველად დავიწყეთ ბისერებით ჩანთების დამზადება, თუმცა მივხვდით, რომ ბანალური იქნებოდა, რადგანაც უამრავი ბისერებით შექმნილი ჩანთაა ბაზარზე. საბოლოოდ შევჯერდით ხის ე.წ. „ბრელოკებზე“, რომლებზეც დატანილი იქნებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სახელები და მათი დაბადების თარიღები. სწორედ აღნიშნული იდეის ინსპირაცია გახდა სათამაშო ლოტო და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი მინი კომპანია აწარმოებდა სამაგიდო თამაშს. სწავლა-თამაშის მეთოდი ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ აქტუალურია, ისტორიაში მითუმეტეს თარიღების დამახსოვრებაც არც თუ ისე ადვილია, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი იდეა განგვეხორციელებინა. ჩვენი მეორე კომპანიის მსგავსად ჩვენ სამაგიდო თამაშსაც აქვს ბრენდირებული შეფუთვა, რომელშიც მოთავსებულია ხის ფირფიტები ქართველ მეფეთა სახელებით, ასევე მოთავსებულია თამაშის წესების ინსტრუქცია და ა.შ. თუმცა, არის ერთი მაგრამ, რომ საკმაოდ ძვირი ჯდება თვითონ ხის ყუთების დამზადება და თამაშის ღირებულება შეადგენს 80 ლარს. გამოფენა-გაყიდვაზეც გავყიდეთ ერთი ცალი პროდუქტი და რაზეც შენიშვნა მივიღეთ და რაზეც უცხოელმა დამთვალიერებლებმა გამოთქვეს შენიშვნა იყოს ის, რომ თამაში მთლიანად ქართულ ენაზე გვაქვს შედგენილი და თუკი იქნებოდა იმის საშუალება, რომ ყოფილიყო ინგლისურ ენაზე, სიამოვნებით შეიძენდნენ. თუმცა, პირველ რიგში ჩვენთვის აღნიშნული გამოფენა-გაყიდვა და 37 საუკეთესო კომპანიას შორის მოხვედრა, უკვე გამარჯვება და დიდი გამოცდილება იყო.

P.S. როგორც პედაგოგმა, ქალბატონმა ნინო კევლიშვილმა აღნიშნა, მაისში დაგეგმილია ორივე კომპანიის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რათა ბორჯომელებსა და ჩამოსულ სტუმრებს უკეთ გააცნონ არსებული პროდუქტები.

კომპანიები „მეგალონი“ და ,,Healthy time“ მადლობას უხდიან №1 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორს ბატონ **მერაბ ახმეტელს,** მის მოადგილეს **მიშა წეველიძეს,** საქართველოს ბანკის ბორჯომის ფილიალის მენეჯერს **ოთარ სვანიძეს** ფინანსური მხარდაჭერისათვის. ასევე სოციალურ საწარმოს „თებე“, სადაც დამზადდა კომპანია ,,მეგალონისთვის“ პროდუქციის ყუთები, ბორჯომის მუნიციპალიტეტს და ბორჯომის ტრანსპორტის ხელმძღვანელს **დიმიტრი ყიფიანს** ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის, №3 საჯარო სკოლის ხელმძღვანელს ქალბატონ **ხათუნა ხარაზიშვილს,** რომლის ინიციატივითაც მოხდა სკოლაში მეწარმეობის საფუძვლების, როგორც საგნის სწავლება და მათ პედაგოგს, ქალბატონ **ნინო კევლიშვილს,** რომელიც უკვე მერვე წელია თავის მოსწავლეებთან ერთად ყოველ წელს წარმატებით იღებს მონაწილეობას აღნიშნულ ფესტივალში.

გვინდა წარმატება და კიდევ მრავალი საინტერესო პროდუქციის შექმნა ვუსურვოთ მოსწავლეებსა და მათ მასწავლებელს.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

---

26 აპრილი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების დღეა

ტრაგედიამ დიდი მსხვერპლი გამოიწვია



1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკზე მსოფლიო ატომური ენერგეტიკის სფეროში უმსხვილესი ავარია მოხდა. ამ შემთხვევის შედეგებს მსოფლიო და მათ შორის საქართველო დღემდე იმკის.

აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მის მიმდებარედ ვრცელი ტერიტორიის რადიაქტიული მომწამვლელი ნივთიერებებით (ურანის იზოტოპით, პლუტონიუმით, სტრონციუმით) დაბინძურება გამოიწვია. ზემოთ აღნიშნულმა ნივთიერებებმა გამოიწვიეს მოსახლეობის დაავადებების დიდი ტალღა. ჩერნობილის კატასტროფა შეფასებულია უდიდეს ავარიად ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობით, ასევე ეკოლოგიური დაბინძურების ხარისხითა და ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილეთა შორის 18 ჩვენი თანაქალაქელი გახლდათ. 26 აპრილის მოვლენების შესახებ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების ლიკვიდაციის მონაწილეს, შეიარაღებული ძალების სამხედრო ვებერანს თეიდო მელიქიძეს ვთხოვეთ ქრონოლოგიურად გაეხსენებინა ყველაფერი.

● ბატონო თედო, 37 წელი გავიდა, რაც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქება მოხდა. თქვენ როგორც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების ლიკვიდაციის მონაწილეს, გთხოვთ, გაიხსენოთ როგორ მოხდა ყველაფერი...

- 1986 წლის 26 აპრილს ნაშუაღამევს პირველ საათსა და 23 წუთზე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქება ხალხმა პლანეტარული მასშტაბის მოვლენად აღიქვა. სამწუხაროდ, ხალხმა არ იცის, რა მოხდა, მეოთხე რეაქტორი იწვოდა და ამ პერიოდში 300 კაცი ყოველ 90 წამში ჩანაცვლებით ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას. ჩერნობილში გადაისროლეს 6000 სამხედრო მოსამსახურე და 40 000 ჯარისკაცი-სპეციალისტი ქიმიური დაცვის შენაერთებიდან. რადიაციულმა ღრუბელმა დაფარა ევროპის დიდი ნაწილი, რადიაციული ფონის გაზრდა დაფიქსირეს ამერიკასა და იაპონიაში, ყველაზე მეტად დაზარალდა უკრაინა და ბელარუსია, აგრეთვე რუსეთი, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა და არც ჩვენი მეზობელი ქვეყნები.

● რა ფუნქცია ჰქონდა, როგორც თქვენ ახსენეთ ე.წ მეოთხე რეაქტორს, რომელიც იმ დროს იწვოდა?

- ჩერნობილის აეს-ი მათ შორის მეოთხე ენერგობლოკი, სსრკ სამრეწველო და ტექნოლოგიური სიმძლავრის სიმბოლო იყო.

● როდის გაიგო მოსახლეობამ სიმართლე?

- ამ ტრაგედიის შესახებ საბჭოთა ხალხმა დაგვიანებით შეიტყო (1986 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და პოლიტბიუროს წევრი ედუარდ შევარდნაძე იყო). მაშინდელი მთავრობის განწყობილება ასეთი იყო, ტრაგიკული არაფერი მომხდარა, ყველაფერი წყნარად ჩაივლის და ხალხსაც მალე დააკიწყდება.

ევროპაში დიდი ხმაური ატყდა - მთელი რიგ ქვეყნებში აიწია რადიაციის დონემ, სხვათაშორის საქართველოშიც შემოაღწია, მართალია დიდი მასშტაბით არა, მაგრამ ეს ყველაზე მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნებოდა (იმ რაიონებში იგრძნეს, სადაც ჩაი მოჰყავდათ).

მოკლედ რომ ვთქვათ, მთავრობამ ეს ამბავი არ გაახმაურა. დაიღუპა ხალხი, დიდი უბედურება დატრიალდა, სანამ ევროპის დიდმა ქვეყნებმა ხმაური არ ატეხეს, სსრკ-ს მთავრობა იძულებული გახდა ეღიარებინა სიმართლე და გორბაჩოვმა ტელევიზიით გააჟღერა ინფორმაცია ჩერნობილის კატასტროფის შესახებ.

● თქვენ რა დავალება გეკისრებოდათ?

- ჩვენი სამხედროს ნაწილი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, ჩვენ მოვახდინეთ სადგურიდან 28 კმ-ით დაშორებული დაბა პრიპიატის ევაკუაცია. ეს რთული სამუშაო საოცარ სისწრაფეს, ორგანიზებულობასა და სიზუსტეს მოითხოვდა.

მახსოვს, ავტობუსის ყველა ფანჯარა, გარდა საქარე მინისა, ტყვიის მეტრიანი ფურცლებით იყო დაფარული. ტყვია ასე თუ ისე იცავს ადამიანის ორგანიზმს რადიციისაგან.

● ბორჯომიდან სულ რამდენი ადამიანი მონაწილეობდით ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში?

- ჩვენი რაონიდან სულ 18 გახლდით, რომლთაგანაც დღეს სულ რაღაც ხუთი ადამიანი დავრჩით. ცოცხლები არიან: **ვახტანგ მაღრაძე, ვახტანგ ნოზაძე, შოთა კიკაძე, თამაზ კობახიძე და რა თქმა უნდა მე.**

● სახელმწიფოს მხრიდან რა სახის დახმარებაა თქვენზე გათვალისწინებული?

- ჩვენს დახმარებას არეგულირებს საქართველოს კანონი „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ და „საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ“.

● ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე რას იტყვით?

- პირველ რიგში დიდი მადლობა ჩემს უსაყვარლეს სამხედრო ექიმს, პოლკოვნიკს, (ამუამად გარდაცვლილია) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, მიხეილ პავლეს-ძე თვაურს. ის რომ არა დღეს არც ერთი ჩვენგანი არ ვიქნებოდით ცოცხლები, ჩამოსვლის დღიდან ის იყო ჩვენი მკურნალი ექიმი. ადამიანი უმადური უნდა იყო რომ არ გახსოვდეს სიკეთე. რა თქმა უნდა, გვერდში გვიდგას ადგილობრივი ხელისუფლება. პატივისცემა მინდა გამოვხატო რაიონის ხელმძღვანელობის ბატონ **ოთარ არბოლიშვილის, დავით ზაალიშვილისა** და და მთელი საკრებულოს წევრების მიმართ.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

მადლობა გაზეთ „ბორჯომს“ ასეთი მნიშვნელოვანი ამბის გაშუქებისათვის.

P.S. **საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ დიმიტრი აივაზოვის 15/19621 ბრძანებულებით 1986 წლის 30 ნოემბერს ბატონ თედორე ალექსანდრეს-ძე მელიქიძე ჩერნობილში დაბა პრიპიატში მოსახლეობის ევაკუაციისა და გასახლებაში უმაღლესი დონის შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.**

ვულოცავთ!

ჩვენი ძმობის მესაძირკვლეს, უფროს ძმას და მეგობარს **ომარ აბრამაშვილს** 20 აპრილს დაბადებიდან 82 წელი შეუსრულდა.

ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრების განვლილი გზა ვარდყვავილებით დამშვენებული არ ქონია. მთელი შეგნებული ცხოვრება სწავლას, შრომას, ოჯახისადმი და მეგობრებისადმი ერთგულებას შეალია. პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით განვლე გზა რიგით მუშიდან მთავარ ინჟინრამდე და არაერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე.

ჩვენო ერთგულო და უღალატო მეგობარო, შენისთანა ვაჟკაცები ძალიან ცოტანი დარჩნენ. ვაჟკაცობა მარტო გოლიათის გარეგნობით არ გამოიხატება. ვაჟკაცობა პირველ რიგში გამოჩენილი ყურადღებაა მეგობრების, გარშემომყოფთა მიმართ. როცა შეგიძლია უკანასკნელი ლუკმა გაუყო ყველაზე გაჭირვებულ ადამიანს.

სხვადასხვა მიზეზების გამო ხშირად ვერ ვხვდებით, მონატრება დიდია. მობილური ტელეფონი კი კონკრეტულ შეხვედრებს ვერ ცვლის, ამიტომ ვნატრულობთ შენთან შეხვედრას, იმედია, ამის საშუალება მოგვეცემა.

უკანასკნელ ხანს ჩვენი საძმოს რიგები შეგვიმცირდა, ჯერ გოგი ჩაჩანიძე გამოგვაკლდა, მერე ჯეირან გურგენიძე გარდაიცვალა. ეს კი, როგორც მათი ოჯახებისათვის, ჩვენი საძმოს უდიდესი დანაკლისია.

იმედს არ ვკარგავთ, ცხოვრებას მივუყვებით, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და ტკბილ მოხუცებულობის წლებს შენს შინაარსიან და მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებთან და შემორჩენილ მეგობრებთან ერთად.

პატივისცემით **თემურ ხუხუნაიშვილი, ვალერიან ლომიძე.**

ღვაწლმოსილ უფროს მეგობარს, ბატონ **ოთარ გოცირიძეს,** 27 აპრილს დაბადებიდან 87 წელი შეუსრულდა.

ბატონმა ოთარ გოცირიძემ დიდი და ღირსეული გზა განვლო. არაერთი პრობლემებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ცხოვრების წლები კეთილსინდისერ შრომას მოახმარა, მრავალი საუკეთესო საქმის მოთავე იყო სპორტული ბაკურიანის განვითარებაში, რისთვისაც მისი შრომა ღირსეულად დაფასდა.

ვულოცავთ ბატონ ოთარს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

დიდი სიყვარულით **თემურ ხუხუნაიშვილი.**

ახალგაზრდა ძიუდოისტის წარმატება

23 აპრილს, ქ. გორში, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა ძიუდოისტ გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობას იღებდა ბორჯომის სასპორტო სკოლის მოსწავლე **ელენე გოგოლაძე,** მან 63 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ ამ წარმატებას როგორც ელენეს ასევე მის მწვრთნელებს: **გ. ხერგიანს. ნ. ანდღულაძეს და ა. შენგელიას.**

პრემიერა ახლადრეაბილიტირებულ თეატრში

19 აპრილს, ბორჯომის თოჯინების ახლადრეაბილიტირებულ თეატრში, რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის თოჯინური სპექტაკლის „მზის სხივი-ს“ პრემიერა გაიმართა.

თოჯინური სპექტაკლის სამოქმედო არეალი ბნელი, ნესტიანი სარდაფია, გაცრეცილი თაროებით, ცარიელი ბოთლებითა და შუშის ქილებით. კუთხეში ეულად მიტოვებული სათამაშო პიანინო და ტელევიზორია რომელსაც შიგნიდან ყველაფერი გამოცლილი აქვს. ბნელ სარდაფში, სადაც მზის სხივიც კი ვერ აღწევდა, უსიყვარულობას, უმეგობრობას და უმედობას დაესადგურებინა. საათსაც კი თავისი დიდრონი თვალები, დახუჭოდა და წიკნიკიც აღარ შეეძლო.

თოჯინური სპექტაკლი მოგვითხრობს მშვენიერი ფაიფურის ბალერინა პიტისა და თაგუნია მუფის თავგადასავალზე, მათ მეგობრობასა და თავდადებაზე.

სპექტაკლი რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა რუმინელი მწერლის, ანრი პოპესკუს რომანტიკული ზღაპრის მიხედვით დადგა.

შვილსაფლი ჯადოსნის საათის დამზადებლებს: 599 706 163 ეკითხეთ გოგი

მრავნული აზრები

***

დრო ოქროზე ძვირფასია,
ვინც იცის მისი ფასია.

***

საშიში არის უვიცი კაცი,
ვინც რომ არ იცის, არაფრის ფასი.

***

თავის თავის მქებელია,
ვინც ბრიყვი და რეგვენია.

***

არაფერია ქვეყნად უმტერო,
ვინც, რაც არსებობს თუნდაც უმწეო.

***

იმედი კურნავს ყველაფერს,
უიმედობა - ვერაფერს.

***

ცოდნა არის მზე ნათელი,
ვერ ჩააქრობს ვერაფერი.

***

სიკეთე შობს სიხარულსა,
სიტკბოსა და სიხარულსა.

***

ჭირში გაცნობილი მეგობარი
არ გაიცვლება ლხინისაში,
ისე ვით ოქროს საბადო -
აყალოს ან თიხისაში.

***

მოძრაობა სიცოცხლეა
ჯანსაღ-ჯანმრთელობისთვისა,
ვით გულწრფელი სიყვარული
ხდომისთვის, ძმობისთვისა.

***

რაც უნდა იყოს ყველაფერში
თუ იქადი რამესა,
ღღე გერჩივნოს ღამესა.



***

თუ გინდა არ აგერიოს
ცხოვრებისა გზა-კვალი,
არასოდეს იყოლიო
ცოლის გარდა სხვა ქალი.

***

მტერს ვერ მოუშლი მტრობასა,
ისე ვით მგელსა მგლობასა.

***

ცოლი გიყვარდეს გულში,
ისე გეჭიროს მუჭში.

***

ქალში ვაფასებ ერთ ბუნებასა,
ქმარშვილისადმი ერთგულებასა.

***

ქმრიან კახპაზე მაცდური
არც ოქროა, არც ფული.

***

ქალი ქმრისა მოღალატე
გიერთგულებს რისთვის?
როგორი კარგიც უნდა იყო,
ვინ ხარ? რა ხარ? მისთვის.

***

მიუსვლელ-მოუსვლელობა
არის მიმოსვლის მკვლელობა.

თუ გინდათ რომ მწუხარებად
არ გადგექცეთ სიხარული,
ოჯახს ძართებს მოფერება,
ცოლქმარს ტკბილი სიყვარული.

***

გულციობა ძმობისა,
საყინდარია მტრობისა.

***

დედა ფასობს დედობითა
და არა დღეგრძელობითა.

***

რაც გიწერია, ვერ გაექცევი,
რაც გაგცემია, ვერ დაეუფლები.

***

ცოდნა შველის ყველაფერსა,
უვიცობა - ვერაფერსა.

***

სიცოცხლე ფასობს სიკვდილით,
სინდის-ნაბუსი სირცხვილით.

***

ისე ვერ განვლი ცხოვრების გზასა,
არ გადეყარო რაიმე შარსა.

***

მხეცი ფასდება ტორებით,
ადამიანი გონებით.

***

ძნელი არის მარტოობა სულისა,
თუ არა ყავს მეგობარი გულისა.

***

ოჯახს უხარის სტუმარი,
ოღონდაც არა მწუხარი.

გურამ ქუნცელი (ივანიძე),
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №14. 17

დათო სახელაშვილის გახსენება

გული არ გვითმენს, ჩვენო დათო, რომ არ მოგიგონოთ სმამაღლა, თითქოს შენს წინაშე დანაშაულს ჩავდივართ. გულის სიღრმეში და დაფარულად კი მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორი სევდა და დარდი ტრიალებს. დრო არ კურნავს ჩვენს მწუხარებას, უკვე მეცამეტე წელია ჩვენთან აღარ ხარ, მეცამეტე აღდგომაა უშენოდ. ეს წლები რიყის ქვასავით უფრო და უფრო მძიმედ გვაწევს გულზე. მარტო მოგონებებითა და შენზე ლოცვით ვცოცხლობთ. მანდედან დაგვლოცეთ, მამა-შვილი ახლა უკვე ერთად ხართ, ჩვენ კი, აქედან ლოცვასა და სანთელს არ მოგაკლებთ.

შენი დედა და და.

მეზობლები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს ერა ბლიაძეს დედის ტანია გუკასიანის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნატალია, შვილი მარინა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დავით პეტროსიანი

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ და უღალატო გაზეთის დამტარებელს ნატალია პეტროსიანს მეუღლის
დავითის
გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება „ს“ გამომცემლობა „საარი“. თბილისი, თეიდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომიძე**